

მეცხრე კლასელი მოსწავლეების მშობელთა ჩართულობა სსიპ ქალაქ  
თბილისის №21 საჯარო სკოლის მაგალითზე

თამარ გაბაშვილი

ნინო თოდუა

ლიკა კობიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების  
პროგრამის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

(სკოლის მიმართულება)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან თოდაძე, მოწვეული მასწავლებელი

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2018

## 1.2. განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგებს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ გაბაშვილი

ნინო თოდუა

ლიკა კობიაშვილი

### 1.3 მადლობა

პირველ რიგში, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაწეული სამუშაოსათვის, დახმარებისათვის, რეკომენდაციებისათვის, თანადგომისა და გულშემმატკივრობისათვის დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს სამაგისტრო ხელმძღვანელს - ქალბატონ ქეთევან თოდაძეს.

კვლევის ჩატარების ხელშეწყობისა, დახმარებისა და შესრულებული სამუშაოსათვის დიდ მადლობას ვუხდით სსიპ ქალაქ თბილისის №21 საჯარო სკოლის ადმინისტრაციას, გერმანული ენის მასწავლებელს - ქალბატონ ნათია გულიაშვილს, მე-9 კლასის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს.

მშობელთა ბლოგის შექმნაში გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით პროგრამისტს - ბატონ გივი თვალავაძეს.

მშობელთა ბლოგისა და მოსწავლეთათვის/მშობელთათვის გადასაცემი სერტიფიკატების დიზაინის შემუშავებისათვის მადლობას ვუხდით დიზაინერს - ქალბატონ თამარ ლალიძეს.

ინტერვენციის ეტაპზე გაწეული დახმარებისათვის დიდ მადლობას ვუხდით „დამოკიდებულების სამედიცინო მართვის ცენტრის“ ფსიქოლოგ-ფსიქოთერაპევტს, ქალბატონ ნინო ახალაიას.

და ბოლოს, მადლობას ვუხდით ერთმანეთს თანადგომისა და საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობისათვის.

## 1.4 აბსტრაქტი

მშობელთან მჭიდრო ურთიერთობა აუცილებელია მოზარდისათვის, განსაკუთრებით კი გარდატეხის ასაკში, როდესაც არსებობს მათი ცუდ გარემოში მოხვედრისა და განათლებაზე უარის თქმის საშიშროება. ასეთ დროს მნიშვნელოვანია მშობლის თანადგომა და ბავშვის სასკოლო ცხოვრებასა და სახლის პირობებში ჩართულობა.

აუცილებელია ხშირი კონტაქტი/ურთიერთობა მასწავლებელთან, რათა დროულად მოხდეს რეაგირება მისი შვილის აკადემიურ მიღწევასა და ყოფაქცევაში არსებული პრობლემების გადასაჭრელად, ასევე - ახალი პრობლემების წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, საბაზო საფეხურის მოსწავლეთა მშობლების ჩართულობის მაჩვენებლის განსაზღვრა და არსებული ლიტერატურისა თუ ინტერვენციების დახმარებით მისი გაზრდა.

ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის ანგარიშს, რომელიც განხორციელდა განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მიერ სსიპ ქალაქ თბილისის №21 საჯარო სკოლაში.

კვლევის პირველ ეტაპზე დამუშავებულია სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც მოიცავდა სოციალიზაციის, მშობელთა ჩართულობის ისტორიისა და მისი მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციას. შემდეგ ეტაპზე, კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით, მასწავლებელთან ჩაღრმავებული ინტერვიუსა და მშობელთა გამოკითხვის საშუალებით დადგინა აღნიშნულ კლასში მშობელთა ჩართულობის არსებული მდგომარეობა, რის საფუძველზეც დაიგეგმა და განხორციელდა რიგი აქტივობები და ინტერვენციები.

კვლევამ ცხადყო, რომ მშობლების უმეტესობას არ აქვს ინფორმაცია შვილის სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ფორმების შესახებ. ამასთან, მათ არ აქვთ

გაცნობიერებული, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს მათ ჩართულობას მოსწავლის განვითარებასა და წარმატებულ ადამიანად ჩამოყალიბებაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მშობელთა ჩართულობა, სკოლა, მოსწავლე, მშობელი, კომუნიკაცია, ოჯახი.

## 1.4. Abstract

Close relationship with parents is indispensable for an adolescent, especially during puberty, when there is high risk of them getting in bad companies, facing negative influences and possibly rejecting education. This is the time when parents' support and involvement in child's school and home life are of great importance.

Parents should stay in regular contact with teachers in order for them to properly respond to their child's academic accomplishments and behavioral problems as well as to avoid future problems.

This masters dissertation aims at measuring the involvement of parents at the basic level of education and increasing the latter with the help of existing literature and interventions.

The dissertation represents the report of practical research that was carried out by Education Administration Masters program students in LEPL Tbilisi public school N21.

The first stage of the research involved the analysis of scientific literature including information about socialization, the history of parents' involvement and its importance. At the next stage, the present situation in terms of parents' involvement was determined using quantitative and qualitative methods and in-depth interviews of teachers and parents and further specific interventions and activities were planned and carried out.

The research revealed that the majority of parents are not familiar with the various forms of parents' involvement in their children's school life. In addition, they do not realize the huge role of their involvement in the process of their child's proper and successful development.